საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 633 2025 წლის 15 აპრილი ქ. თბილისი

„მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის №332 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის №332 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების გათვალისწინებით, მათი ფინანსური დახმარების მიზნით, მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არაუმეტეს 39 150 000 (ოცდაცხრამეტი მილიონ ას ორმოცდაათი ათასი) ლარისა, მათ შორის:

ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 500 000 (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

გ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

დ) ვანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 300 000 (ორი მილიონ სამასი ათასი) ლარისა;

ე) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

ვ) აბაშის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარისა;

ზ) ხონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 800 000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) ლარისა;

თ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 800 000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) ლარისა;

ი) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

კ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა;

ლ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

მ) მესტიის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 100 000 (ერთი მილიონ ასი ათასი) ლარისა;

ნ) სენაკის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

ო) ამბროლაურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 100 000 (ერთი მილიონ ასი ათასი) ლარისა;

პ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 100 000 (ერთი მილიონ ასი ათასი) ლარისა;

ჟ) გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა;

რ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარისა;

ს) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 100 000 (ერთი მილიონ ასი ათასი) ლარისა;

ტ) ონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარისა;

უ) ყვარლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარისა;

ფ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

ქ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

ღ) ახალციხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

ყ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

შ) ბოლნისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა.".

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე